

გადამცემი ქსელის საოპერაციო ზღვრების დადგენის ინსტრუქცია

მუხლი 1.

1. წინამდებარე ინსტრუქციის მიზანია გადამცემი ქსელის საოპერაციო ზღვრების დადგენა, რათა უზრუნველყოფილი იყოს:

ა) ელექტროენერგეტიკული სისტემის საიმედო ფუნქციონირება, მათ შორის ელექტრული მდგრადობა და უსაფრთხოება;

ბ) ელექტროენერგიის (სიმძლავრის) საპროგნოზო ბალანსის შედგენის სიზუსტე და ეფექტიანობა.

2. გადამცემი სისტემის ოპერატორი ვალდებულია მოითხოვოს გადაცემისა და განაწილების ლიცენზიატების მფლობელობაში არსებული 110 კვ. და უფრო მაღალი ძაბვის ელექტრული ქსელის ელემენტების საოპერაციო ზღვრების შესახებ ინფორმაცია წელიწადში ორჯერ, არაუგვიანეს 10 მარტისა და 10 აგვისტოსი. გადაცემისა და განაწილების ლიცენზიატები ვალდებული არიან გადამცემი სისტემის ოპერატორს მიაწოდონ აღნიშნული ინფორმაცია არაუგვიანეს შესაბამისი წლის 1 აპრილისა და 1 სექტემბრისა.

მუხლი 2.

1. იმ შემთხვევაში თუ გადაცემის და განაწილების ლიცენზიატებს მნიშვნელოვნად აქვთ შემცირებული ან გაზრდილი გადამცემი ქსელის ელემენტების საოპერაციო ზღვრები საპროექტო სიდიდეებთან შედარებით, გადამცემი სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მათ საოპერაციო ზღვრების შემცირების ან გაზრდის მიზეზის დადგენა და შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა. გადაცემის და განაწილების ლიცენზიატები ვალდებული არიან წარუდგინონ გადამცემი სისტემის ოპერატორს აღნიშნული ინფორმაცია მოთხოვნის მიღებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

2. გაუთვალისწინებელი შემთხვევების გამო ელექტრული ქსელის ცალკეული ელემენტების საოპერაციო ზღვრების შემცირებაზე ინფორმაციის მიღებიდან უმოკლეს დროში, მაგრამ არაუგვიანეს 1 საათისა, გადაცემის ან/და განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია აცნობოს აღნიშნული ინფორმაცია გადამცემი სისტემის ოპერატორს, კომუნიკაციის ხელმისაწვდომი საშუალებით, ხოლო მომდევნო 1 სამუშაო დღის განმავლობაში წერილობით.

მუხლი 3.

1. გადამცემი სისტემის ოპერატორი მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით შესაბამისი ბრძანებით ადგენს ან/და ცვლის საოპერაციო ზღვრებს, არაუგვიანეს ყოველი წლის 1 მაისისა და 1 ოქტომბრისა, ასევე მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში გათვალისწინებულ შემთხვევაში, შეძლებისდაგვარად მოკლე დროში.
2. ინფორმაცია საოპერაციო ზღვრების შესახებ უნდა განთავსდეს გადამცემი სისტემის ოპერატორის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

მუხლი 4.

გადამცემის სისტემის ოპერატორი ვალდებულია ამ ბრძანების მე-3 მუხლით დადგენილი ზღვრები გაითვალისწინოს:

- ა) ყოველდღიური საათობრივი გეგმების შედგენისას;
- ბ) გადამცემი ქსელის მუშაობის რეჟიმების დაგეგმვისას;
- გ) ყოველთვიური პროგნოზის შედგენისას;
- დ) ელექტროენერგეტიკული სისტემის ოპერატიულ-დისპეტჩერული მართვისას.

მუხლი 5.

1. გადაცემისა და განაწილების ლიცენზიატები ვალდებული არიან ისე გამართონ რელეური დაცვისა და ავტომატიკის დანაყენები, რომ თავიდან იქნას აცილებული დადგენილი ზღვრების გადაჭარბება ელექტროენერგეტიკული სისტემის ნორმალური რეჟიმის უეცარი დარღვევის დროს (გენერაციის უეცარი ცვლილება, მოხმარების უეცარი ცვლილება, ხაზების ავარიული გამორთვები და ა.შ).
2. გადაცემისა და განაწილების ლიცენზიატები ვალდებული არიან შეამოწმონ მათ საკუთრებაში არსებული ელექტრული ქსელის ელემენტების რელეური დაცვისა და ავტომატიკის დანაყენები და გადამცემი ქსელის ოპერატორს წარუდგინონ შემოწმების ოქმები. შემოწმების გრაფიკი და ფორმები წინასწარ უნდა შეუთანხმდეს გადამცემის სისტემის ოპერატორს.
3. იმ შემთხვევაში თუ გადაცემის და განაწილების ლიცენზიატმა წლის განმავლობაში შეცვალა მისი ელექტრული ქსელის ცალკეული ელემენტების ზღვრები, შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენით, ისინი ვალდებული

არიან მოახდინონ რელეური დაცვის და ავტომატიკის დანაყენების შეცვლა, გადამცემი სისტემის ოპერატორთან შეთანხმებით ისე, რომ დაცული იყოს ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები.

მუხლი 6.

ამ ბრძანების მე-3 მუხლით დადგენილი ზღვრების ფარგლებში ოპერირების უზრუნველსაყოფად გადამცემი სისტემის ოპერატორი ვალდებულია გაატაროს ყველა შესაბამისი ღონისძიებები, მათ შორის:

- ა) გამოიყენოს ოპერატიული რეზერვი;
- ბ) გამოიყენოს გარანტირებული სიმძლავრის წყაროები;
- გ) შეზღუდოს ან გამორთოს მომხმარებელი, განაწილების ლიცენზიატი ან ექსპორტიორი;
- დ) განახორციელოს ან/და მოითხოვოს ელექტროენერჯის იმპორტი, მათ შორის, მეზობელი ელექტროენერგეტიკული სისტემიდან ავარიული დახმარების ხელშეკრულების ფარგლებში.

მუხლი 7.

1. იმ შემთხვევაში, თუ შემცირებული ან გაზრდილი საოპერაციო ზღვრები მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნიან ელექტროენერგეტიკული სისტემის საიმედო ფუნქციონირებას, მათ შორის ელექტრულ მდგრადობას და უსაფრთხოებას გადამცემი სისტემის ოპერატორი ვალდებულია, მოსთხოვოს შესაბამის გადაცემის ან/და განაწილების ლიცენზიანტებს გადამცემი ქსელის ელემენტების საოპერაციო ზღვრების ამალღება ან შემცირება საპროექტო სიდიდეებამდე.

2. თუ გადაცემის ლიცენზიატი ან/და გადაცემის ლიცენზიატი უარს იტყვის საოპერაციო ზღვრის ამალღებაზე ან შემცირებაზე, გადამცემი სისტემის ოპერატორი ვალდებულია მიმართოს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის მიზნით.